# სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

**დადგენილება №36**

**2010 წლის 19 ნოემბერი**

**ქ. სიღნაღი**

## სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტისა და 43-ე მუხლის მე-2 პუნქტის, აგრეთვე „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

1. დამტკიცდეს სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახურის დებულება (დანართი №1).
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,სიღნაღის მუნიციპალიტეტის სახანძრო დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ” სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 26 თებერვლის №25 დადგენილება.
3. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საკრებულოს თავმჯდომარე ზ. ზედელაშვილი**

*დანართი №1*

## სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახურის დებულება

### თავი I
### ზოგადი დებულებები

**მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

1. სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახური (შემდგომში – სამსახური) წარმოადგენს სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციებისგან მოსახლეობის და ტერიტორიის დაცვას, ახორციელებს ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებებს, ატარებს საავარიო-სამაშველო სამუშაოებს სიღნაღის მუნიციპალიტეტის ფარგლებში.
2. სამსახურს აქვს ბლანკი და ბეჭედი შესაბამისი დასახელების აღნიშვნებით.
3. სამსახურის საქმიანობის და მის თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება ხორციელდება თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
4. სამსახურის იურიდიული მისამართია: ქ. სიღნაღი, ფორე მოსულიშვილის ქ. №2.

**მუხლი 2. სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახურის სამართლებრივი საფუძვლები**

სამსახურის საქმიანობის სამართლებლივი საფუძველია საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ”, „ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობის და ტერიტორიების დაცვის შესახებ” საქართველოს კანონი, „სახანძრო უსაფრთხოების შესახებ” საქართველოს კანონი, „საჯარო

სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონი, ეს დებულება, საქართველოს კანონმდებლობა და სხვა ნორმატიული აქტები.

## თავი II
## სამსახურის ფუნქციები და უფლებამოსილება

### მუხლი 3. სამსახურის ფუნქციები

1. სამსახურის ფუნქციებია:

ა) სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევის აღკვეთის მიზნით, ხანძარსაწინააღმდეგო ზედამხედველობის განხორციელებას დაქვემდებარებული ობიექტების სახანძრო ტექნიკური გამოკვლევა და შემოწმება კანონით დადგენილი წესით;

ბ) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების მოთხოვნათა შესრულების კონტროლი იმ ორგანიზაცია-დაწესებულებებში, რომლებიც წარმოადგენს ხანძარსაწინააღმდეგო ზედამხედველობას დაქვემდებარებულ ობიექტებს;

გ) სახანძრების უსაფრთხოების პრევენციისა და მათი ლიკვიდაციის მიზნით ღონისძიებათა შესახებ წინადადებათა მომზადება და ღონისძიებათა კომპლექსური გეგმის შემუშავება და განხორციელება;

დ) სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვის მიზნით მშენებლობისა და ტექნიკური გადაიარაღების საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმება;

ე) სამაშველო ღონისძიებების განხორციელება ადამიანების სიცოცხლის დაცვის მიზნით;

ვ) საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილების მიზნით საწარმოებისა და ორაგნიზაცია-დაწესებულებებისათვის რეკომენდაციებისა და მითითებების მომზადება;

ზ) საქართველოს კანონმდებლობით, სამსახურის დებულებით და გამგებლის დავალებით სხვა უფლებამოსილებათა განხორციელება.

### მუხლი 4. სამსახურს უფლება-მოვალეობები:

1. სამსახურს უფლება აქვს:

ა) გააკონტროლოს ხანძარსაწინააღმდეგო ზედამხედველობას დაქვემდებარებულ ობიექტებში სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნათა შესრულება; ჩატაროს ამ ობიექტების სახანძრო-ტექნიკური გამოკვლევა და შემოწმება;

ბ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გასცეს შესასრულებლად სავალდებულო მიწერილობები;

გ) მთლიანად ან ნაწილობრივ შეაჩეროს ხანძარსაწინააღმდეგო ზედამხედველობას დაქვემდებარებული ობიექტების ექსპლუატაცია, თუ გამოავლენს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნათა დარღვევებს ან მათ შეუსრულებლობას, რაც ქმნის ხანძრის გაჩენის საშიშროებას ან ემუქრება ადამიანთა უსაფრთხოებას;

დ) იღებენ და ამუშავებენ ინფორმაციას საგანგებო სიტუაციებისგან მოსახლეობის და ტერიტორიების დაცვის სფეროში;

ე) მოითხოვოს და შეუფერხებლად მიიღოს მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია; საჭიროების შემთხვევაში ცალკეულ საკითხთა განხილვის, დაზუსტებისა და დამუშავების მიზნით მოიწვიოს გამგეობის სტრუქტურული და ტერიტორიული ორგანოების, დაწესებულებებისა და საწარმოების წარმომადგენლები, სპეციალისტები და მოსთხოვოს საჭირო ინფორმაცია;

ვ) საგანგებო სიტუაციის თავიდან აცილების და ამ სიტუაციით გამოწვეული შედეგების ლიკვიდაციის სფეროში ასრულებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

2. სამსახური ვალდებულია:

ა) პასუხი აგოს მისთვის გადაცემული ქონების შენახვასა და მოვლა-პატრონობაზე;

ბ) კეთილსინდისიერად შეასრულოს მოქმედი კანონმდებლობით მასზე დაკისრებული ფუნქციები;

გ) ანგარიში წარუდგინოს მუნიციპალიტეტის გამგებელს და საკრებულოს თავმჯდომარეს;

დ) დაიცვას შინაგანაწესი.

## თავი II
## სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახურის სტრუქტურა

**მუხლი 4. სამსახურის უფროსი**

1. სამსახურის მუშაობას, ორგანიზაციას და კოორდინაციას უწევს სამსახურის უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგებელი „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, გარდა ამ კანონის 79-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტისა.

2. სამსახურის უფროსი:

ა) წარმართავს სამსახურის საქმიანობას და პასუხისმგებელია სამსახურის მიერ მასზე დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებაზე;

ბ) ორგანიზებას უწევს და აკონტროლებს სამსახურის თანამშრომელთა მიერ მათზე დაკისრებული მოვალეობების შესრულებას;

გ) ანაწილებს ფუნქციებს მოსამსახურეთა შორის;

დ)ქმნის სამსახურის თანამშრომლისათვის მასზე დაკისრებული მოვალეობის შესრულებისათვის აუცილებელ პირობებს;

ე) წარუდგენს გამგებელს წერილობით წინადადებებს მოსამსახურეთა წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ საკრებულოს თავმჯდომარისათვის წარსადგენად;

ვ) გამგებელს პერიოდულად წარუდგენს ანგარიშს სამსახურის მიერ შესრულებულ სამუშაოთა შესახებ;

ზ) ახორციელებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საკრებულოს თავმჯდომარის, გამგებლის სამართლებრივი აქტებით, გამგეობის დებულებით და ამ დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს;

თ) სამსახურის უფროსის არყოფნის შემთხვევაში სამსახურის უფროსის მოვალეობას ასრულებს გამგებლის დავალებით ერთ-ერთი მოხელე.

**მუხლი 5. სამსახურის მოსამსახურეები**

1. სამსახურის თანამშრომლები არიან ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურეები, რომლებსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგებელი „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, გარდა ამ კანონის 79-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტისა.

2. სამსახურის თანამშრომლებს უფლება აქვთ:

ა) სამსახურის უფროსის წინაშე დააყენონ საკითხი მათზე დაკისრებული მოვალეობების შესრულებისათვის საჭირო პირობების უზრუნველყოფის შესახებ;

ბ) ისარგებლონ საინფორმაციო-სატელეკომუნიკაციო და სხვა ტექნიკური საშუალებებით.

3. სამსახურის თანამშრომლები ვალდებულნი არიან:

ა) შეასრულონ უშუალო და ზემდგომი ხელმძღვანელის დავალებები;

ბ) შეასრულონ და დაიცვან შინაგანაწესი;

გ) შეასრულონ და დაიცვან საქართველოს კანონმდებლობით და ამ დებულებით დადგენილი მოთხოვნები.

**მუხლი 6. სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახურში მუშაკების სახელმწიფო დამატებითი სოციალური დაზღვევა**

სახელმწიფო, პირადი და დამატებითი სოციალური დაზღვევა, აგრეთვე სიკვდილის ან დასახიჩრების შემთხვევაში ზარალის ანაზღაურება სამსახურის მუშაკებისათვის ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად.

**მუხლი 7. დებულების გაუქმება, მასში ცვლილებების და დამატებების შეტანა შესახებ**

სამსახურის დებულების გაუქმება, მასში ცვლილებების და დამატებების შეტანა ხდება მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მეშვეობით.